



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის
მერია
G E O R G I A
RUSTAVI CITY MUNICIPALITY CITY HALL



წერილის ნომერი: **38-3823282490**
თარიღი: **09/10/2023**

ადრესატი: საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის, წალკისა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია

2023 წლის 15 სექტემბრის №01/1139 წერილობითი მომართვის პასუხად გაცნობებთ, რომ რუსთავში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ:02.07.01.830) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, ამ ეტაპზე, არ იგეგმება ადგილობრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება. ამასთან, „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის-გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის №154 დადგენილების კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკის შესაბამისად საკადასტრო ერთეული (ს/კ:02.07.01.830) მდებარეობს **საწარმოო ზონაში (იზ 1)**.

დადგენილების დანართი 3-ის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად **საწარმოო ზონა (იზ-1)**: სამეწარმეო ზონა არის ინდუსტრიული ზონის ქვეზონა, სადაც დომინირებს საწარმოო ობიექტები, რომლებშიც არ მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესები. **ნებადართული სახეობებია:** საწარმოო ობიექტი; ღია და დახურული საწყობი; ავტოსატრანსპორტო საშუალების მომსახურების ობიექტი. **საგამონაკლისო წესით:** შეიძლება ასევე დასაშვებია იყოს სხვა არამავნე მრეწველობის ობიექტები.

განაშენიანების პარამეტრების ცხრილის მიხედვით სამშენებლო პოტენციალის მქონე მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობია 400 მ², ამავე ცხრილის მიხედვით რეგულირდება ზომებისადმი არსებული მოთხოვნები.

რაც შეეხება, მუნიციპალიტეტის მერიის პოზიციას მიწის ნაკვეთის (ს/კ:02.07.01.830) სიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ პრივატიზებასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და ქალაქის განაშენიანების გენერალური გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს უძრავი ქონების (ს/კ:02.07.01.830) პრივატიზების პროცედურები.

პატივისცემით,

ნინო ლაცაბიძე

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია-ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი





ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის
მერია
G E O R G I A
RUSTAVI CITY MUNICIPALITY CITY HALL



წერილის ნომერი: **38-3823241265**
თარიღი: **29/08/2023**

ადრესატი: საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის, წალკისა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია
მისამართი: ქალაქი რუსთავი, ხალხთა მეგობრობის გამზირი N29b; საკონ.ნომერი: (+995 341) 222 854

2023 წლის 14 აგვისტოს №01/1029 წერილობითი მომართვის პასუხად გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე (მისამართი: ქალაქი რუსთავი, მშვიდობის ქუჩა №24, ს/კ: 02.07.01.829) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, ამ ეტაპზე, არ იგეგმება ადგილობრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება. ამასთან, „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის-გენერალური გეგმის და განაშენიანების გეგმის დამტკიცების თაობა“-ზე ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის №154 დადგენილების კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკის შესაბამისად საკადასტრო ერთეული მდებარეობს **საწარმოო ზონაში (იზ-1)**.

დადგენილების დანართი 3-ის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად საწარმოო ზონა (იზ-1): სამეწარმეო ზონა არის ინდუსტრიული ზონის ქვეზონა, სადაც დომინირებს საწარმოო ობიექტები, რომლებშიც არ მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მაკვნე საწარმოო პროცესები. **ნებადართული სახეობებია:** საწარმოო ობიექტი; ღია და დახურული საწყობი; ავტოსატრანსპორტო საშუალების მომსახურების ობიექტი. **საგამონაკლისო წესით:** შეიძლება ასევე დასაშვებია იყოს სხვა არამაკვნე მრეწველობის ობიექტები.

განაშენიანების პარამეტრების ცხრილის მიხედვით სამშენებლო პოტენციალის მქონე მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობია 400 მ², ამავე ცხრილის მიხედვით რეგულირდება ზომებისადმი არსებული მოთხოვნები.

რაც შეეხება, მუნიციპალიტეტის მერიის პოზიციას მითითებული ტერიტორიის სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ პრივატიზებასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და ქალაქის განაშენიანების გენერალური გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული №1 და №2 შენობა-ნაგებობის **(ს/კ: 02.07.01.829)** პრივატიზების პროცედურები.

პატივისცემით,

ნინო ლაცაბიძე
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია-ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

